საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5033
22/10/2025

5033-01-2-202510221651

ი/მ თამარ გაზაშვილს (ს/ნ: 01003012114)
მის: ქ.თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანი
IVა მ/რ, კორ. 3, ბ. 74
ქ. თბილისი, დავით გამრეკელის ქ. N20
ტელ:. 595 25 33 15

როგორც თქვენთვის ცნობილია, „მოქალაქე მარი სანებლიძის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2024 წლის 05 სექტემბრის №04/862 ბრძანების თანახმად, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ თამარ გაზაშვილის (ს/ნ: 01003012114) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის შესწავლის დასრულებამდე, მოვაჭრემ სააგენტოს შესთავაზა პირობითი ვალდებულების აღება, რომლითაც დაევალებოდა სავაჭრო პოლიტიკის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. სააგენტომ განიხილა კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები და მიიჩნია, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებდა კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი.

შესაბამისად, სააგენტოს 2024 წლის 11 ნოემბრის №04/1074 ბრძანებით - ი/მ თამარ გაზაშვილის (ს/ნ: 01003012114) მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა დასრულდა მის მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე, აღნიშნული ბრძანების დანართის შესაბამისად, პირობითი ვალდებულებების აღების თაობაზე მოვაჭრესა და სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოსა და - ი/მ თამარ გაზაშვილს (ს/ნ: 01003012114) შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, მოვაჭრეს შეთანხმების ხელმოწერიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უნდა განეხოციელებინა ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები და ამ ვადის გასვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტოსთვის წარმოედგინა ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების თაობაზე, შესაბამისი მტკიცებულებებით. მოვაჭრემ თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან

დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არაჯეროვნად შეასრულა კერძოდ, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება სავაჭრო ობიექტზე მომხმარებლისთვის თვალსაჩინოდ განთავსებული კანონშესაბამისი სავაჭრო პოლიტიკისა.

ამასთან, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა, რომლის ვადა 1 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, თუ:
ა) მოვაჭრე თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ) პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სააგენტომ დაიწყო საქმის ხელახალი შესწავლა სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 22 ოქტომბრის N04/1246 ბრძანების საფუძველზე.

შეგახსენებთ, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

დანართის სახით გიგზავნით საქმის განახლების შესახებ ბრანების ასლს.

დანართი: „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი